# ხელშეკრულება AFP-HU/12

თბილისი 5 თებერვალი, 2012

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი,
შპს „ბათუმის № 1 პოლიკლინიკა", მისი დირექტორის ბ-ნ თენგიზ შერვაშიძის, ერთის მხრივ (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი")
და
HUMAN DIAGNOSTIC GEORGIA Ltd. მისი დირექტორის, ბატონ ზურაბ ბრეგაძის სახით, მეორეს მხრივ (შემდგომში წოდებული როგორც "მომწოდებელი"),

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას – დამკვეთისათვის დიაგნოსტიკური ტესტ-სისტემებისა და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით მხარეთა ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ.

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ლაბორატორიული დიაგნოსტიკური ტესტ-სისტემების მიწოდებისას მხარეთა ვალდებულებების, მიწოდების პირობისა და ანგარიშსწორების წესის განსაზღვრა.

## 2. მხარეთა ვალდებულებები, მიწოდების პირობა და ანგარიშსწორების წესი

2.1. "მომწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს "დამკვეთს" შეკვეთილი პროდუქცია შეკვეთიდან 30-45 დღის განმავლობაში.
2.2. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1300 ლარს.
2.3. "დამკვეთი" ვალდებულია დაფაროს მიღებული დიაგნოსტიკური ტესტ-სისტემების სრული ღირებულება პროდუქციის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

## 3. გარანტია და რეკლამაციები

პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებული დასაბუთებული რეკლამაციები დაკმაყოფილებული იქნება "მომწოდებლის" მიერ დაწუნებული პროდუქციის შეცვლით. დასაბუთებულად ჩაითვლება პრეტენზია (რეკლამაცია), რომელიც დაკავშირებული არ არის პროდუქციის შენახვის და ხმარების წესების დარღვევასთან.

## 4. ფორს-მაჟორის პირობები

ამ თავში მოხსენიებულ გადაულახავ წინააღმდეგობებად ჩაითვლება სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა და პოლიტიკური კატაკლიზმები პროდუქციის მოწოდებასთან დაკავშირებულ სახელმწიფოებში, რომლებიც შეუძლებელს ხდიან კაპიტალისა და ტვირთის თავისუფალ გადაადგილებას ან მნიშვნელოვნად ართულებს მას დროის იმ მომენტთან შედარებით, როდესაც დადებული იყო მოცემული ხელშეკრულება. გადაულახავ წინააღმდეგობათა ლიკვიდაციამდე საკონტრაქტო ვალდებულებები პროდუქციის მიწოდების ვადებთან და გადახდის პირობებთან დაკავშირებით კარგავენ ძალას.

## 5. არბიტრაჟი

ყველა სადაო საკითხი, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს შორის, წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. უშუალო ურთიერთობით შეთანხმების მიუღწევლობისას მხარეებს შორის დავა წყდება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების გაუქმებამდე.

**მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:**

შპს "ბათუმის № 1 პოლიკლინიკა"

მისამართი: ბათუმი
ტბელ აბუსერიძის 2
ს/კ 245426392

HUMAN DIAGNOSTIC GEORGIA Ltd

0102 თბილისი
ივ. ჯავახიშვილის 51
**სს "პროკრედიტ ბანკი"**
ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE37PC0133600100046123 (ლარები)
კოდი MIBGGE22

**მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები:**

შპს "ბათუმის № 1 პოლიკლინიკა"

დირექტორი

თენგიზ შერვაშიძე

ბ.ა.

HUMAN DIAGNOSTIC GEORGIA Ltd.

დირექტორი

ზურაბ ბ[illegible]ლიძე

ბ.ა.